უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლოკოს- პატრიარქის ილია II-ის ქადაგება ლომისობის დღესასწაულზე.

ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, მლეთა, 14 ივნისი, 2006 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულითა!

ჩვენთან არს ღმერთი!

„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“ ნამდვილად დიდია წყალობა ღვთისა და მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის ის, რაც ხდება ქვეყანაზე. დღევანდელი დღე - ეს არის უდიდესი სასწაული; სამოცდაათ წელზე მეტია ამ ტაძარში წირვა-ლოცვა არ ჩატარებულა. ადრე აქ მოღვაწეობდა მღვდელი გიორგი მალანია, რომელიც შემდეგ აქედან კომუნისტებმა გააძწვეს და მან ყაზბეგში განაგძო მსახურება. ის იყო ამ ტაძრის ბოლო მოძღვარი(ჩემს დედ-მამას სწორედ მან დასწერა ჯვარი).

ამ ეკლესიას ლომისის წმინდა გიორგი ეწოდება; წმინდა გიორგის ტაძრები ბევრი იყო და დღესაც ბევრია საქართველოში, წარსულში ხომ მთელი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველ დღეს, რომელიმე სოფელში ან ქალაქში აღინიშნებოდა წმ. გიორგის დღესასწაული. მაგრამ არის გამორჩეული ძალისა და მადლის ადგილები და ერთერთი ასეთი ადგილი და სალოცავი არის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი.

დღეს კვლავ ვდღესასწაულობთ წმინდა გიორგის ხსენების დღეს, ათასობით ქართველია მოსული აქ, რაც კიდევ ეღთხეკ მეტყველებს იმაზე, რომ ძლიერია ქართველი ადამიანის სული, ძლიერია ჩვენი ერი. ჩვენ ვართ სისხლი და ხორცი ჩვენი წინაპრებისა: დავით აღმაშენებელისა, თამარ მეფისა, არჩილისა, ლუარსაბისა, ერეკლესი და სხვა დიდი ადამიანისა. ეს კიდევ მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ხალხი არ გადაშენდება და გაუძლებს დაბრკოლებებს, რომელიც გვხდება ცხოვრების გზაზე.

თქვენ იცით, რომ წელს, გაზაფხულზე, დიდი განსაცდელი დაატყდა ამ ტაძარს, იგი თითქმის გუმბათამდე იყო ჩაფლული ტალახსა და ნიაღვარში და ერთი შეხედვით, გარდუვალი იყო მისი დანგრევა. ყველანი ვლოცულობდით, რომ გადაგვერჩინა იგი. შეიძლება ჩვენი ცოდვების გამოც მოხდა, რომ ასეთი განსაცდელი დაატყდა მას, - თქვენ იცით, აქ წირვა-ლოცვა არ სრულდებოდა, სოფელი მაინცდამაინც არ იყო ამით დაინტერესებული, რადგან ხალხს აქ შესაწირი მოჰქონდა. მინდა ვტქვა, რომ შესაწირი, რომელიც მოდის ცხვრის თუ სხვა სახიტ, როგორც იყო, ისევ დარჩება სოფლისთვის, ჩვენ არავითარ წინაარმდეგობას არ შევუქმნით მათ; მთავარია, წირვა-ლოცვა შესრულდეს, რადგან ეს დიდი მადლია ამ სოფლისათვის და მთელი საქართველოსთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მადლი, რომელიც აქ ტრიალებს ძალიან ძლიერია და ის მოეფინება მთელს საქართველოს.

ჩვენ სულ ვფიქრობდით, თუ როგორ გვეშველა ამ ტაძრისათვის და სწორედ ამ დროს წერილი მივიღეთ სოფლიდან, მოსახლეობა თხოულობდა მოძღვარს; მათ სურდათ, რომ ტაძარი უშუალოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის გამგებლობაში გადასულიყო, მისი უშუალო მფარველობის და ყურადღების ქვეშ ყოფილიყო; ჩვენ გავითვალისწინეთ ეს და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან ეს ადგილი და ტაძარი იტოს სტავროპიგიალური, ანუ უშუალოდ პატრიარქის გამგებლობაში გადავიდეს.

პირველი ადამიანი, რომელიც ზრუნავდა ამ საქმისთვის, იყო ბატონი ირაკლი ბურდული, ამ სოფლის გამგებელი. იგი არაერთხელ იყო ჩემთან დ სხვადასხვა წინადადებებს გვთავაზობდა. მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო ამ სოფლის მთელ მოსახლეობას, მათ დიდი საქმე გააკეთეს, ისინი ეხმარებოდნენ ჩვენს მოძღვრებს. მინდა ასევე თქვენი ყურადღება ჩვენს მოძღვრებზე. მამა ტარიელი დღე და ღამე მუშაობდა აქ, მან ყველაფერი გააკეთა, რომ ტექნიკა მოეყვანა, ფაქტიურად შეუძლებელი შესძლო, რადგან როგორც გითხარით, ტაძარის გუმბათი თითქმის ყელამდე ტალახსა და ნიაღვარში იყო ჩაფლული, თვითონ ტაზარშიც მეტრანახევარზე ტალახი და წყალი იყო. მან ეს ყველაფერი სხვებთან ერთად დაასუფთავა. დიდი მამულიშვილები, კარგი ვაჟკაცები ეხმარებოდნენ. დაუღალავად შრომობდა ბატონი მალხაზ ჯაფნიაშვილიც, თავის ვაჟკაცთან ერთად, მინდა, დავლოცი ისინი და მადლობა ვუთხრა.

ჩვენ ვითვალისწინებთ მამა ტარიელის დიდ შრომას და რეს იგი დაჯილდოვებულია მეორე ჯვრის ტარევის უფლებით და დანიშნულია წმინდა ტაძრის წინამძღვრად.

მინდა ასევე დიდი მადლობა მოვახსენო და დავლოცო მამა გაბრიელი, რომელიც ასევე დღე და ღამე შრომობდა ამ წმინდა ტაძარში; დღეს იგი დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით, აყვანილია დეკანოზის ხარისხში და დანიშნულია წინამძღვრის მოადგილედ. ასე რომ, თქვენთან ორი მოძღვარი იქნება - მამა ტარიელი და მამა გაბრიელი.

ის რაც გაკეთებულია, მხოლოდ დასაწყისია. მინდა, მოგმართოთ ყველას, რომ გააგრძელოთ ეს დიდი საქმე; აქ უნდა იყოს ერთერთი საუკეთესო სავანე მთელს საქართველოში. ისტორიიდან ცნობილია, რომ აქ მოღვაწეობდნენ დიდი მონაზვნები და იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი აღსდგება. მთელი საქარტველო უნდა იცნობდეს, მოდიოდე და ლოცულობდეს აქ.

წმინდა გიორგი არის სიმბოლო გამარჯვებისა, სიმბოლო ვაჟკაცობისა და ძალისა. ლომისის წმინდა გიორგის ლოცვითა და მფარველობით ღმერთმა დიდი ძალა მოგცეთ თქვენ და სრულიად საქართველოს. მისი მეოხებით, ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო.

იმედი გვაქვს ღვთისა, რომ აუცილებლად მალე ვიხილავთ გამთლიანებულ საქართველოს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ თქვენ და სრულიად საქართველო!

ჩვენთან არს ღმერთი!